რუსთავის აზოტი Rustavi AZOT

სს "რუსთავის აზოტი" JSC "RUSTAVI AZOT"

№ 01/630 19 09 2019 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონ ნინო,

გაცნობებთ, რომ ს.ს. „რუსთავი აზოტი“ (404519794) გეგმავს „ორჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზი ,,ატზ-7''-,,ატზ-8''-ის („ქ/ს რ უსთავი-220''-დან ს.ს „რუსთავი აზოტი“-ს კუთვნილ „ქ/ს-02“-მდე, ტრასის სიგრძით 5,738 კმ) და ერთჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზი ,,ატზ-8ა''-ს (ს.ს „რუსთავის აზოტი“-ს კუთვნილი „ქ/ს-02“-დან „ქ/ს-01“-მდე, ტრასის სიგრძით 0,901 კმ) მშენებლობასა და ესპლუატაციას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის თანახმად "35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა, გარდა ამ მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის შესაბამისად "თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ს.ს. „რუსთავი აზოტი“ გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, ამიტომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე), რომელსაც წარმოგიდგენთ სკოპინგის დასკვნის გასაცემად.

დანართი: 1. სკოპინგის ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია),
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);

პატივისცემით,

ს.ს. „რუსთავი აზოტი“-ის დირექტორი: ე. ურუმაშვილი

№ 16311
14 11 2019
1/2CE

საქართველო, რუსთავი 3700, მშვიდობის ქ№2
2, Mshvidoba str. Rustavi 3700, Georgia
ტელ/Tel: (+995 341) 27 09 22
ელ. ფოსტა/E-mail: info@rustaviazot.ge
www.rustaviazot.ge